# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 675

დამატების № 121

კვირა, 18 სექტემბერი 1916 წ.



ქ. ფოცხვერაშვილი და აჭარელი მომღერლები: ხასან ალა ირემაძე, ზაბით ალა ქარცივაძე, ასლან ალა ნიკოლაიშვილი და ისეთ ალა მურვანიძე.

## პოლონეთს...

წმინდა აკვანი მშობლიური ფერფლად გიქცევს,
სავანე გრძნობის, სიყრმის შვება დასწყვეტს დადაგავს;
კმარა სამარემ თან წარიღო გმირთა ძახილი,
მჩქეფ იმედებით, წ(ი)თელ სისხლით მორწყო მთა ველი.

*
* *

შვილთა ჯაბარი სამლოცველო ცეცხლმა დამარხა,
მხატვართ მშვენება, აკლდამები მწუხრად ჩასუხა.
წმინდა გვირგვინი სიამაყ(ი)ს მტერმა მოგტაც(ა),
მომავლის ლხენა საიმედო ქარიშხალს მისცა.

*
* *

ო, პოლონეთო, ტანჯულ ხალხთა უმანკო დაო,
დიად სამსხვერპლოს უქრობ ცეცხლზე მარად ელვარებ,
ბრძოლის ყიჟინა, გმირთ ყოფილი მხარეს მოედო,
შენ ხარ ცისკარი გან(თა)ვისუფლების, სხივთა მძ(ლ)ავს უხმობ.

*
* *

სადაც არ შედრკე, არ შეშინდე მხარევ ტანჯულო
გმირს შეშვენის არც ცრემლები, არც დამონება,
ბრძოლაში ჰპოვებ რაც დაჰკარგე, რაც სხვათ მოგპარეს,
ჟამთა სრბოლაში გამოსჭედე დიადი ძმობა..

**ს. ტაიფუნი.**

# განწირულნი

(Notati homines)

დრამა 4 მოქმედებად

(შემდეგი *)

**მოქმედება მეორე.**

სცენაზე გიორგის სამხატვრო ოთახია, რომელიც დიდის ფანჯრით, ქალაქს გადაჰყურებს. გიორგი ათავებს სურათს, უკანასკნელად შეალამაზებს და დგება. რამდენიმე ხანს კიდევ ათვალიერებს ხან შორიდან, ხან ახლოს. მის სახეზე კმაყოფილება იხატება.

**გიორგი.** აგრე... ჩინებული გამოვიდა. (გადააფარებს ტილოს და სურათს დასწევს უკან.)

**ოთარი.** (კულისებში) შეიძლება?

**გიორგი.** მობრძანდით ბ. ოთარ, მობრძანდით. (შემოდიან ოთარი და მანუჩარი.)

**ოთარი.** სალამი, სალამი ჩვენს რაფაელს. (ათვალიერებს ოთახს) რა მშვენიერებაა!!

**მანუჩარი.** დილამშვიდობისა ბ. გიორგი! (მიესალმებიან ერთმანეთს).

**გიორგი.** დაბრძანდით! (მიაწოდებს სკამს) რამ გაფიქრებინათ ჩემთან მოსვლა? იქნებ გზა აგებნათ? ვითომ არა?!

**ოთარი.** რა ბრძანებაა! განა ყველა მოვალე არაა, რომ გინახულოს?—და ჩვენი მოსვლა რაღად გიკვირთ?

---

*) იხ. სურათებიანი დამატება № 120.



რუმინიის მეფე თავის აფიცრებს შორის.

**მანუჩარი** რასაკვირველია! ისეთი ნიჭის პატრონი, როგორიც თქვენა ხართ, ჩვენგან.

**ოთარი.** მაშ, მაშ! ჩვენს გაზეთშიც ვწერდით.

**გიორგი.** მეტისმეტია ბ. ოთარ!

**ოთარი.** თქვენგან არ მიკვირს?! განა უფლება არა გაქვთ უფრო მეტი ყურადღება და პატივისცემა მოითხოვოთ? (გიორგის უნდა ლაპარაკი გააწყვეტინოს) ა-ა-ა! ერთი სიტყვა, ერთი სიტყვა არ მინდა გავიგონო! ეს ასეა!.. მაგრამ, ხა! ხა! ხა! ამასთან ჩვენ მცირეოდენი საქმეც გაქვს.

**მანუჩარი.** დიახ! მცირეოდენი საქმე... ჩვენ გვაქვს დიახ!

**გიორგი.** მიბრძანეთ და თუ შემიძლიან დახმარება, მზად ვარ.

**ოთარი.** გმადლობთ, გმადლობთ! მაგრამ ერთი არ გეგონოთ; ხა! ხა! ხა! მარტო ერთი როდია: ორია, ორი ერთად ხა! ხა! ხა!

**მანუჩარი.** დიახ: ორი ერთად. მართალია.

**გიორგი.** ეგ სულერთია: ოღონდ შევიძლო!

**ოთარი.** (მიიწევს გიორგისაკენ და მუხლზე ხელს დაკრავს) აი პირველი ჩვენი თხოვნა: უნდა დაგვრთოდ ნება, ჩვენი გაზეთის დამატებაში თქვენი სურათები მოვათავსოთ და ამისათვის ნება მისცეთ ჩვენს ფოტოგრაფს, თქვენს სახელოსნოში იაროს. დიახ, დიახ ბ. გიორგი! ეს არის ჩვენი პირველი სათხოვარი.

**მანუჩარი.** ამისათვის კი შესაფერ ჰონორარს მიიღებთ.

**ოთარი.** რასაკვირველია! ხა! ხა! ისე როგორ შეიძლება?! ჩვენ პრინციპიალურად წინააღმდეგი ვართ სხვისი შემოქმედების, უსასყიდლოდ სარგებლობისა... და მერე ისიც თქვენი ნიჭის ბ. გიორგი! განა წარმოსადგენია?

**გიორგი.** როგორ გეკადრებათ ბ-ბო! ასეთი მცირე რამ და სასყიდელი, თან ასეთი ცერემონიები?!

**ოთარი.** ო-ო! უსათუოდ, უსათუოდ: ნებაც აუცილებელია და სასყიდელიც. ნება იმიტომ რომ პატივისცემაა ავტორის და სასყიდელს პრინციპი მოითხოვს. დიახ, დიახ: პრინციპი. მაშ?!! მე ძლიერ მეჯავრება უპრინციპო ადამიანი. თუ გახსოვთ, ამის შესახებ ჩემს გაზეთში წერილიც იყო!

**გიორგი.** არ მახსოვს.

**ოთარი.** კი, იყო! როგორ არა! ჩვენ ამის შესახებ სულ სხვა აზრისა ვართ. არა მანუჩარ?

**მანუჩარი.** რასაკვირველია... ვართ.

**გიორგი.** თქვენი ნებაა, მხოლოდ ვაი თუ ტყუილად შეგექნათ ხარჯის გაწევა.

**ოთარი.** ნუ მორცხვობთ ბ. გიორგი! (მივა სურათებთან.) განა თქვენ ასეთი სიტყვების თქმა გეკადრებათ? განა მარტო ეს სურათი მთელ მსოფლიოდ არა ღირს? (მანუჩარიც მივა).

**მანუჩარი.** ოღონდაც! ო-ო! რა „საუცხოვოა! რა მშვენიერია! ჩვენში რომ ჩამოვიდა ერთი ცნობილი პროფესორი, იმან მითხრა...

**ოთარი.** არა, ხომ?! რამდენი გრძნობა, რა ნიჭი, რა ღრმა, ფილოსოფიური შინაარსია ყოველ ხაზში, ფერის ყოველგვარ შეხამებაში! არა, ეს შედევრია, შედევრი. თქვენ რომ ჩვენებური არ იყოთ ბ. გიორგი, აქამდი მთელს ქვეყანაზე ცნობილი იქნებოდით.

**მანუჩ.** ეს განა საეჭვოა? ერთმა უცხოეთის გამოჩენილმა მხატვარმა მითხრა... ჩემი მოგზაურობის დროს, (გიორგის მოუთმენლობა ეტყობა).

**ოთარი.** მერწმუნეთ... ჩემს გაზეთშიც ვწერდი ამის შესახებ... კიდევ ბევრი რამ იყო დაწერილი. ხომ გახსოვთ ბ. გიორგი? ხა! ხა!

**გიორგი.** არა, არ მახსოვს! არც წამიკითხავს.

**ოთარი.** (ცოტა არ იყოს გულნაკლული მანუჩარს გადახედავს.) კი... როგორ არა... ვწერდით.

**მანუჩ.** რა თქმა უნდა... მაშ, მაშ!

**ოთარი.** მაგრამ ამაზე კმარა. ერთს მოვრჩით.

**გიორგი.** ბრძანეთ მეორე?!!

**ოთარი.** ჯერ მიიღეთ პირველისათვის დიდი მადლობა: დარწმუნებული იყავით ამას არ დავივიწყებთ.

**მანუჩ.** წერილიც შეიძლება გაზეთში. მე ერთმა გამოჩენილმა...

**ოთარი.** (აწყვეტინებს) რა თქმა უნდა!!

**გიორგი.** (მოუთმენლად.) უკაცრავად, მაგრამ ცოტა მეჩქარება და..

**ოთარი.** ახლავე, ახლავე! მეორე.. ხა! ხა! მეორე კი ცოტა.. უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს.

**მანუჩ.** სწორედ რომ უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს, დიახ!

**ოთარი.** თითქმის არ ვიცი რითი, ან როგორ და საიდან დავიწყო... ახლავე აგიხსნით ბ. გიორგი! საქმე აი რაშია: როგორ მეძნელება ღმერთმანი... თქვენ რასაკვირველია იცით, რომ ვახტანგი ჩვენი გაზეთის უმთავრესი თანამშრომელია.

**გიორგი.** ვიცი.

**ოთარი.** ჰო და საქმე სწორედ ამაში მდგომარეობს: ხომ მოგეხსენებათ ჩვენი საზოგადოების ზნე და ჩვეულება! აგვიხირდენ ბატონო, თითქმის ბოიკოტი გამოგვიცხადეს. ჩვენს გაზეთს არც კითხულობენ და არც ყიდულობენ. ზარალი ძლიერ დიდი გვაქვს და თანდათან უფრო უარესდება, თორემ სიმედო, არაფერია. არ მოს-



ავიაციის მამამთავრის მარეს ძეგლი.
(იხ. დღ. გაზ.)

ეთერს, მხედრის მკვლელობას.
— „მუჰამმადსა ვფიცავ, მე მისი მტერი არ ვყოფილვარ და

ლები კი საუკუნოდ იყოს დახუჭული!..

ს. ფაშალიშვილი.

# შესანიშნავი შენობები



მართლმსაჯულების დარბაზი ალჰამბრაში.

წონთ ვახტანგი.. თქვენ წარმოიდგინეთ ვახტანგი არ მოსწონთ. მერე ვინ? ვახტანგი... აი... აი...

**მანუჩ.** გასაოცარია სწორედ!!

**ოთარი.** თუ აგრე გაძლდა, ჩვენ იძულებული შევიქნებით ან გაზეთი შევაჩეროთ, ან ვახტანგი დავითხოვოთ. მერე რა რიგ მეძნელება ვახტანგის მოშორება.

**გიორგი.** რა ბრალსა სდებთ ვახტანგს?

**ორივე.** { ჩვენ?

**ოთარი.** სრულიად არავითარს!

**მანუჩ.** განა ვახტანგს არ ვიცნობთ?

**გიორგი.** მაშ რაშია საქმე? ამიხსენით ჩემგან რა გნებავთ?! ჯერჯერობით მე, სრულიად არაფერი არ გამეგება.



სინოდის ობერ-პროკურორი რ. პ. რაევი.

**ოთარი.** ახლავე, ყველაფერს ახლავე აგიხსნით: თქვენ ვახტანგის ძლიერ დაახლოვებული მეგობარი ყოფილხართ.

**გიორგი.** მერე?

**ოთარი.** იცით აგრეთვე ჩვენი გაზეთი რა მიზნს ემსახურება: იგი ეროვნულ ნიადაგზე სდგას, დიახ! ეროვნულ ნიადაგზე! ჩვენში კი ახლა მოღვაწეობა საზოგადოების სასარგებლოდ, მხოლოდ გაზეთით შეიძლება. მაგრამ თანამშრომელის, ან და სხვა ვისიმე მიზეზით გაზეთს თუ გავლენა, ავტორიტეტი და სახელი ეკარგება, ძლიერ სამწუხაროა. მიხვდით?

**გიორგი.** ვერა!

**ოთარი.** ახლავე აგიხსნით: ჩვენ არ შეგვიძლიან ბ. ვახტანგი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ, რადგან არაფერი ვიცით. ისეთი ხმები კი დადის, რომ შეუძლებელია უყურადღებოდ მათი დატოვება. მერე ისიც როგორ დროს?!—დღეს თუ ხვალ არჩევნები უნდა მოხდეს და ბ. ვახტანგი კი სდუმს. ჩვენც არაფერი ვიცით... ამასობაში.

**გიორგი.** (მოუთმენლად) მოკლედ მოსჭერით: რა გნებავთ ჩემგან?

**ოთარი.** თქვენ ბ. გიორგი... როგორც ვახტანგის მეგობარს.. გეცოდინებათ ის ხმები... მართალია თუ არა?

**გიორგი** რომელი ხმები?

**ოთარი.** ნუ თუ თქვენ არაფერი იცით?—აი... **იმ ქალის** შესახებ.

**გიორგი.** როგორ თუ მართალია? განა ახლა გაიგეთ? ვახტანგი და თამარი რამდენი ხანია ერთად ცხოვრობენ და ახლა მკითხავთ, მართალია თუ არა?

**ოთარი.** არა! (უმწეოდ) ღმერთო ჩემო! ჩვენ სულ სხვაზე მოგახსენებთ... თორემ ეს ხომ ყველამ იცის!? ღმერთო ჩემო, ნუ თუ ვერ მიხვდით? სულ არაფერი გაგიგონიათ? ხა! ხა! ხა!

**გიორგი.** ა-ა-ა-ა!!

**ოთარი.** დიახ, დიახ!

**გიორგი.** თქვენ იქნება მათი კავშირის კანონიერებაზე ამბობთ?! (ოთარი სასოწარკვეთილი იყურება) ო-ო! ისინი ჯვარდაუწერელნი არიან. ეს კი მართალია. მაგრამ არ მგონია ამ გარემოებამ თქვენს გაზეთს რაიმე ზიანი მისცეს. ვის რა ხელი აქვს, ვისი რა საქმეა ჯვარდაწერილი ვარ თუ არა? ან და როდის გახდა ჩვენი პატივცემული საზოგადოება, ზნეობის ასეთ სასტიკ ცენზორად?

**ოთარი.** არა, არა, არა ბ. გიორგი! არც ეს, არც ეს! კიდევ მიგახვედრეთ: ჩვენ მოგახსენებთ იმ ქალის შესახებ, რომელიც უწინ ჰყვარებია ვახტანგს.

**გიორგი.** მერე რა რომ ჰყვარებია?! განა ეს დანაშაულობაა? უწინ ყველას ჰყვარებია?!

**ოთარი.** მართალია, მაგრამ ამბობენ ვითომც ვახტანგს იგი დაეშორებინოს საქმროსათვის.

**გიორგი.** მაშ როგორ იქნებოდა? თუ ვახტანგი შეუყვარდა, საქმრო რა საჭირო იყო?

**ოთარი.** მაგრამ... ამბობენ ვითომ...

**მანუჩ.** დიახ, ამბობენ ვითომ.

**ოთარი.** ამბობენ ვითომ... ვახტანგს გაეცეს საქმრო.

**გიორგი.** (მიიწევს ორივეზე. ისინი უკან დაიხევენ.) ხმა! კრინტი.

**ორივე.** { ბ. გიორგი! განა ჩვენ.

**გიორგი.** კრინტი მეთქი! მაშ თქვენ იმიტომ მობრძანებულხართ, რომ მონაწილედ გამხადოთ თქვენი უსინიდისო ჭორების?

**ოთარი.** ბ. გიორგი.

**გიორგი.** იმდენად დაცემული ხართ და დაუნდობელი, რომ ეჭვიც კი შეგეპარათ? ყოჩაღ ინტელიგენტო და საზოგადო მოღვა-



პორუჩ. იასონ ჯორჯაძე (მოკლულია).

წენო! მიბრძანდით ახლავე აქედან და მსგავსი ცნობების დასამტკიცებლად ჭორიკანა კეკელებს მიმართეთ.

**ოთარი.** თქვენ გავიწყდებათ.

**გიორგი.** ჩქარა მეთქი! მიბრძანდით! ჯერ მოქრთამვა მომინდომეს და მერე!.. გასწით მეთქი!

**ოთარი.** შემდეგ არ ინანოთ ბ. გიორგი.

**მანუჩარი.** დიახ, დიახ! ჩვენ ის კი არა ვართ!

**გიორგი.** (მანუჩარს ზიზღით) ჩუმად!.. აბა ჩქარა აქედან! (სტაცებს სკამს ხელს) თორემ როგორც „ერთმა გამოჩენილმა პროფესორმა მითხრა...“ ზურგზე ბოლს აგადენთ ორივეს. (როცა ისინი გადიან, კარებში ვახტანგი გამოჩნდება და გაოცებული უყურებს სამივეს.)

**ვახტანგი.** რა იყო? რა მოგივიდა?

**გიორგი.** (დადის) არაფერი, არაფერი!.. უსინიდისოები! (ვახტანგს) შენც თანამშრომლობ ამ ვაჟბატონებთან რაღა?! მოღვაწეობ, განათლება, თვითშეგნება შეგაქვს საზოგადოებაში?! საქვეყნო საქმეს აკეთებ!?.. და როცა კი ვინმე უნამუსო, თავისი გასვრილი ენით რაიმე ჭორს მოფენს ქვეყანას, მაშინ შენი მეგობრები დაიწყებენ თხუნელასავით ხოხვას და სამარის თხრას. ახ! ორივესათვის რომ თავპირი დამემტვრია, ეს იქნებოდა კარგი.

**ვახტანგი.** გამაგებინებ თუ არა, რა დაგემართა? რამ გაგაბრაზა აგრე?

**გიორგი.** შენმა ჯიუტობამ და დაჟინებამ.

**ვახტანგი.** მე მაინც არაფერი მესმის.

**გიორგი.** ის ვაჟბატონები, რომელნიც ისე თავაზიანად გავისტუმრე აქედან, მეკითხებოდნენ: შენ მართლა გაეცი ვიღაც თუ არა?! აი სანამდი მივა ხანდახან ადამიანის უსინიდისობა და უტიფრობა.

**ვახტანგი.** (ზარდაცემული) გიორგი: რა სთქვი?

**გიორგი.** (ვერ ამჩნევს ვახტანგის აღელვებას) დიახ, დიახ! ხმები დადისო, ვახტანგს გაუცია ერთხელ ერთი ადამიანიო, ის გადაუსახლებიათ და შენ კი მერე მისი საცოლე შეგიცვლენია, ასეთი გარემოება კი, ჩვენს გაზეთს სახელს უტეხს რადგან ვახტანგი ჩვენი თანამშრომელიაო. (ნიშნის მოგებით.) აი შენი მეგობრები, საზოგადო მოღვაწენი; ჩვენი ქვეყნის მარილნი?! ახლა კიდევ, ასეთ ხალხს, შენი კანდიდატურის წამოყენების ნებაც მიეცი და ისინი რასაკვირველია, ეცდებიან რაც შეიძლება გასიამოვნონ.

**ვახტანგი.** მეგობარო, ეს ყველაფერი მართალია?

**გიორგი.** აბა იქნებ, ხუმრობა გგონია?!

**ვახტანგი.** (თითქმის წელმოწყვეტილი.) მერე... ამას ვინ დაიჯერებს? ან საიდან გაჩნდა ეს ხმები? ვინ გაბედა და... (უცებ გაჩუმდება. ცოტა სიჩუმის შემდეგ.) ვის შეუძლიან დაამტკიცოს? საბუთი სად არის?

**გიორგი.** საბუთი, საბუთი!

**ვახტანი.** ჰო, საბუთი... სად არის საბუთი?

**გიორგი.** გუშინდელი ბალღივით მსჯელობ: რად ან ვის უნდა ამის საბუთი? თითქოს ჩვენში, მარტო უსაბუთო ხმა არ იყოს საკმარისი: ათასი გამოეხმაურება და მერწმუნე ერთი იმდენი კუდიც გამოებმევა.

**ვახტანგი.** ეს... ეს, სულ იმ საზიზღარის საქმეა...

**გიორგი.** არ მგონია: თუმცა შეიძლება. შურისძიება ადამიანს, ხშირად გაამხეცებს.

**ვახტანგი.** რომ მოვთხოვო პასუხი? სამართალს რომ მივცე?

**გიორგი.** მოითმინე ნუ აჩქარდები: იცოდე დიდი სიფრთხილეა საჭირო! შალვაც რომ იყოს ამის მიზეზი, მას უარის თქმა შეუძლიან და შენ კი მის წინააღმდეგ ბრალდებას ვერ დაამტკიცებ. ეს კი შენ გავნებს, მხოლოდ იმას ვერაფერს დააკლებს. (ფიქრობს) ისევ იცი რას გირჩევ? დაანებე ახლავე ყველაფერს თავი. რედაქციაში ისედაც არ დაგედგომება; კანდიდატურაც მოხსენი და ამით ყველას მოუსპე საშუალება, რომ განზრახული სისრულეში მოიყვანონ. საზოგადო საქმე უშენოდაც გაკეთდება.

**ვახტანგი.** მაშინ ხომ ყველა დარწმუნდა ჩემს სიმტყუნეში?! შეეშინდაო იტყვიან. არა, არა! ეს შეუძლებელია. ვნახოთ რაც იქნება.

**გიორგი.** დამიჯერე ჩემო კარგო! შეიბრალე შენი თავიც. თამარი? ის ხომ გიყვარს?

**ვახტანგი.** მიყვარს, მიყვარს ჩემო გიორგი და იმიტომაც არ შემიძლიან დაგიჯერო. მაშინ თამარიც დარწმუნდება და ხომ... (ყრუანტელი დაუვლის) არა, არა, არა! არ შეიძლება. არც მჯერა აგრე ადვილად დამამარცხონ და გამიმეტონ. დღეს ისეთ პატივს მცემენ და ნუ თუ ხვალ მიღალატებენ?

**გიორგი.** ეს ჩემო ვახტანგ, ძლიერ ადვილია: მართალია ორი არსების დაშორება, შენი ყმაწვილური გატაცების შედეგი იყო, ასეთი რამ ბევრს დამართნია, მაგრამ ბრძოლის დროს, ყოველგვარი თითქმის უმნიშვნელო გარემოებაც შეიძლება ძლიერ იარაღად გამოდგეს; მით უმეტეს საზოგადო მოღვაწის წინააღმდეგ.

**ვახტანგი.** ტყუილად ნუ მირჩევ ჩემო გიორგი: ეს სულმოკლეობა იქნება ჩემის მხრით. ესეც რომ არ იყოს ახლა უკან დახევა შეუძლებელია. თუ დამნაშავე ვარ, პასუხიც უნდა ვაგო... თუ არა და გამარჯვებული გამოვალ.

**გიორგი.** შენი ნებაა!

**ვახტანგი.** გიორგი! შენ... შენ ხომ არ გჯერა? თუ... შემამჩნიე, ეს ერთი ხანია იჭვნეული გავხდი და ყველას ეჭვის თვალით უყურებ: წარმოიდგინე შენც, ჩემო გიორგი; შენ არ გჯერა ხომ... რომ მე... შემეძლო მეტოქე გამეცა? ვახტანგი შეიძლება ჯაშუში ყოფილიყო?

**გიორგი.** რაებს ბოდავ? როგორ გგონია: რომ მჯეროდეს, შენი მეგობარი ვიქნებოდი? ან იქნებ მართლა გაეცი? (სიცილით) ხა! ხა! ხა!

**ვახტანგი.** (ნერვიული სიცილით) ხა! ხა! ხა! მაშ, მაშ! ხა! ხა! მაშ არ გჯერა?

**გიორგი.** ხუმრობას თავი დავანებოთ ჩემო ვახტანგ: სანამ შენ თითონ არ დამარწმუნებ, იმ ზომამდე გენდობი, რომ მომკალი ვერ დავიჯერებ.

**ვახტანგი.** გმადლობ ჩემო მეგობარო! ის მაწუხებს, რომ სამაგიეროს გადახდა ჯერ ჯერობით არ შემიძლიან.

**გიორგი.** მეგობრობით მე არ ვვაჭრობ, თორემ ბ. ოთარი დღეს ასე პატივცემული არ წაბრძანდებოდა აქედან. (საათი დაჰკრავს ერთს) ოჰო! პირველი საათია! (ვახტანგს) მხოლოდ ათი წუთით დაგტოვებ... აქ მეზობლად დამიბარეს: რაღაც სათქმელი გვაქვსო და მალე დავბრუნდები. დღეს შენთან ვსადილობ და იქ მოვილაპარაკოთ უფრო დალაგებით. (გადაიცვამს ტანისამოსს და მიდის) ჰო მართლა: სიტყვა მომეცი აი ის სურათი არ ნახო! (მიუთითებს შალვას სურათს).

**ვახტანგი.** მიმალავ განა?

**გიორგი.** მეც სიტყვა მაქვს ჩამორთმეული. რისთვის დასჭირდა ეს ამის პატრონს, არც მე ვიცი.

**ვახტანგი.** ვინ ჩამოგართვა ასეთი პირობა?

**გიორგი.** შალვამ. შეიძლება, სხვათა შორის, ისიც მოვიდეს ჩემს აქ არ ყოფნაში, უთხარი მომითმინოს... ეცადე არაფერი შეგამჩნიოს. (ზარის ხმა) ძაღლი ხსენებაზეო, სწორედ ეს არის. (შემოდის შალვა. ვახტანგი შეკრთება.)

**შალვა.** გამარჯვებათ ბ. გიორგი! (ვახტანგს) ო-ო-ო! თქვენც აქ ბრძანდებით?

**ვახტანგი.** როგორც ხედავთ?!!

**შალვა.** ძლიერ სასიამოვნოა; სხვათა შორის თქვენი ნახვაც მინდოდა. (გიორგის.) მზად არის მხატვარო სურათი?

**გიორგი.** მზად არის.

**შალვა.** ხომ შემიძლიან ნახვა?

**გიორგი.** რატომაც არა?! (მივა სურათთან.)

**შალვა.** (აღელვება დაეტყობა) ბ. ვახტანგ! გთხოვთ ცოტა განზე მიდგეთ: არ მინდა დრომდე, ამ სურათს შეხედოთ... ეს სურათი საუცხოვოა შინაარსისაა, თუ შესაფერი შედეგიც მოჰყვა.

**ვახტანგი.** (ზურგს შეაქცევს მას და ისე ჯდება) მე ცნობისმოყვარე არასოდეს ყოფილვარ და არც ეს სურათი მიძრავს ასეთ გრძნობას.

**შალვა.** ვინ იცის; იქნებ მალე გამოიცვალოთ აზრი. (გიორგის) აბა მხატვარო! მაჩვენეთ თქვენი ხელოვნების ნაყოფი.

**გიორგი.** (ახდის ტილოს) აი, ეს არის!!

**შალვა.** ა-ა-ა?!! (უკან დაიხევს. სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რამდენიმე ხანია სცენაზე სიჩუმეა.) გმადლობთ, გმადლობთ ბ. გიორგი. ჩემს მოლოდინს გადააჭარბეთ ათასჯერ გმადლობთ.

**გიორგი.** რაც შევიძელ ეს არის.

**შალვა.** უმჯობესი მე არ მინდა. (გადააფარებს ტილოს) გთხოვთ მიიღოთ ეს ჩემგან. (აძლევს ფულს) იმედი მაქვს არ დამემდურებით.

**გიორგი.** გმადლობთ! (ორივე წინ წამოიწევს.) მაპატიეთ, რომ რამდენიმე წუთით მარტო გტოვებთ; მაგრამ ვახტანგი ჩემთან სტუმარი არ არის და ჩემს მაგიერობას შესძლებს. სხვათა შორის ნახვაც გნდომებიათ მისი და სანამ თქვენ მასლაათს დაასრულებთ, მეც დავბრუნდები. (გადის.)

(შემდეგი იქნება).

შოთა დადიანი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.

ა ეთერს, მხედრის მკვლელობას.
— „მუჰამმადსა ვფიცავ, მე მისი მტერი არ ვყოფილვარ და
ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..
ს. ფაშალიშვილი.